



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

**ბრძანება**

2023 წელი 24 იანვარი

№ 12/04

თბილისი

საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნული  
სტრატეგია 2023-ის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 47-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,  
ვ ბრძანებ:

მუხლი 1 დამტკიცდეს „საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია - 2023“ თანდართული სახით.

მუხლი 2 მაღადავარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 15 დეკემბრის №145/04 ბრძანება.

მუხლი 3 ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კ. გორგაძე

# ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია - 2023

ინფორმირებული გადაწყვეტილებებიდან  
ფინანსურ კეთილდღეობამდე



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

## შინაარსი

შესავალი .....	4
ფინანსური განათლების მნიშვნელობა .....	6
სტრატეგიის მოკლე მიმოხილვა .....	9
საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების დონე .....	11
სტრატეგიის მანდატი, ხედვა და მისია .....	13
სტრატეგიის მაკონკრეტული მიზანი (ეროვნული ბანკი) და მართვის კომიტეტი .....	13
სტრატეგიის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული მხარეები .....	14
სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები .....	15
პრიორიტეტული მიმართულება #1: ახალგაზრდა თაობის ფინანსური განათლების ხელშეწყობა და მათი მომავალი ცხოვრებისთვის მომზადება .....	15
პრიორიტეტული მიმართულება #2: მოსახლეობის გონივრული ფინანსური ქცევების წახალისება და დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა .....	16
პრიორიტეტული მიმართულება #3: საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, მიუკერძოებელი ფინანსური ინფორმაციის, რესურსებისა და არხების გამოყენების ზრდა .....	21
პრიორიტეტული მიმართულება #4: დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის მექანიზმების შექმნა და განვითარება .....	22
ფინანსური განათლების საკითხები .....	23
ფინანსური განათლების პროგრამების, აქტივობებისა და რესურსების ეროვნულ სტრატეგიასთან შესაბამისობის პრინციპები .....	24
სტრატეგიის დანერგვის მონიტორინგი და შედეგების შეფასება .....	26
სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მოდელი .....	27
გამოყენებული წყაროები .....	30

## შესავალი

### ფინანსური განათლების მნიშვნელობა

საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში - „ეროვნული ბანკი“) ერთ-ერთი ამოცანა ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვაა.<sup>1</sup> ფინანსური განათლება კი განიხილება, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჩარჩოს განუყოფელი ნაწილი. ვინაიდან, ფინანსურად განათლებულ მომხმარებლებს უკეთ ესმით ფინანსური საკითხებისა და პროდუქტების არსი; აქვთ ცოდნა, უნარი და რწმენა გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი; იღებენ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს; იციან ვის მიმართონ კონსულტაციის მისაღებად და მოქმედებენ ისე, რომ გაიუმჯობესონ ფინანსური კეთილდღეობის დონე.

შედეგად, ფინანსური განათლების დონის ამაღლება მნიშვნელოვანია არა მარტო მომხმარებლისთვის, არამედ ფინანსური სექტორისთვისაც, რამდენადაც მისთვის გაცილებით ხელსაყრელი და ნაკლებად სარისკო იქნება გათვითცნობიერებულ, პასუხისმგებლიან მომხმარებელთან ურთიერთობა.

საბოლოო ჯამში კი, ქვეყნაში ყალიბდება ჯანსაღი ეკონომიკური გარემო, რომელშიც, როგორც ინდივიდები, ისე ფინანსური სექტორი მოქმედებს გონივრულად და იღებს ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილებებს.

### ფინანსური განათლების აქტივობები საქართველოში

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, ეროვნულმა ბანკმა „კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 13 მაისის №35/04 ბრძანებით დამტკიცებული წესი<sup>2</sup> შეიმუშავა, საქართველოს პირველი ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია (შემდგომში - „სტრატეგია“) კი 2016 წელს დაამტკიცა. მართალია, მოსახლეობის ფინანსური განათლების ამაღლებისკენ მიმართულ აქტივობებს ეროვნული ბანკი სტრატეგიის შექმნამდეც ახორციელებდა, თუმცა, სტრატეგიის შექმნის შემდეგ ამ აქტივობებმა უფრო ორგანიზებული და სისტემური სახე მიიღო. პირველი სტრატეგიის შექმნის მიზანს ფინანსური განათლების სარგებლიანობის შესახებ ცოდნის ამაღლება, დაინტერესებულ მხარეთა შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაღრმავება და ფინანსური განათლების მიღების შესაძლებლობების გაფართოება წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიის შექმნის შემდეგ უფრო მეტი დაინტერესებული მხარე ჩაერთო მოსახლეობისთვის ფინანსური განათლების მიწოდებაში, მათ შორის, ფინანსური სექტორის წარმომადგენლები და შესაბამისი პროფილის დონორი ორგანიზაციები, ასევე, უმაღლესი სასწავლებლები და საჯარო დაწესებულებები. ამასთან, წლიდან წლამდე იზრდებოდა ფინანსური განათლების ამაღლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობაც და მასშტაბებიც. აქვე, აღსანიშნავია, რომ მათი უმეტესობა ინიცირებული იყო ეროვნული

<sup>1</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. მუხლი 47

<sup>2</sup> მიმდინარე რედაქციით წესის განახლებული ვერსია დამტკიცდა 2021 წელს

ბანკის მიერ, თუმცა, არსებობს დაინტერესებულ მხარეთა მიერ ფინანსური განათლების აქტივობების დამოუკიდებლად განხორციელების გამოცდილებაც.

სტრატეგიის შექმნამ და დაინტერესებულ მხარეთა შორის თანამშრომლობის გაღრმავებამ ხელი შეუწყო ფინანსური განათლების ამაღლების მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას: მათ შორის, ფინანსური განათლების საკითხები ინტეგრირდა საბაზო საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმაში და დაიწყო პედაგოგების შესაბამისი გადამზადება; შეიქმნა ფინანსური განათლების პირველი ვებ-პორტალი - „ფინედუ“ ([www.finedu.gov.ge](http://www.finedu.gov.ge)) (შემდგომში - „ფინედუ“) და მისი მხარდამჭერი გვერდები სოციალურ მედიაში; ტრადიციული სახე მიიღო ყოველწლიურმა ცნობიერების ასამაღლებელმა ღონისძიებებმა, კონკურსებმა, ვებინარებმა და ტრენინგებმა; სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის შეიქმნა ფინანსური განათლების პროგრამები, „ონლაინ“ და ბეჭდური საგანმანათლებლო მასალები, შემუშავდა ვიდეორგოლები, თამაშები. COVID-19 პანდემიის დროს, „ფინედუ“ იქცა ფინანსური განათლების დისტანციურად მიწოდების მნიშვნელოვან არხად, რომლის საშუალებითაც ონლაინ ხორციელდებოდა ფინანსური განათლების აქტივობები - საინფორმაციო კამპანიები, კონკურსები, ვებინარები, პირდაპირი ჩართვები და ა.შ.

## მოსახლეობის ფინანსური განათლების დონე და არსებული გამოწვევები

მიუხედავად ფინანსური განათლების ამაღლების მიმართულებით განხორციელებული რიგი აქტივობებისა, კვლავ გამოწვევად რჩება ფართო მასშტაბზე გასვლა: ყველა სამიზნე ჯგუფის დაფარვა, მათზე მორგებული აქტივობების განხორციელება და ამ აქტივობების მდგრადობისა და განგრძობადობის უზრუნველყოფა. ყოველივე ზემოაღნიშნული კი, თავის მხრივ, საჭიროებს მეტი დაინტერესებული მხარის აქტიურად ჩართვასა და მათ კოორდინირებულ მოქმედებას.

გარდა ამისა, მოსახლეობის ფინანსური განათლების განმეორებითმა კვლევამ<sup>3</sup>, რომელიც 2019 წელს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელის მეთოდოლოგიაზე (OECD/INFE Toolkit) დაყრდნობით ჩატარდა, აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების დონე კვლავ OECD ქვეყნების, ასევე საერთაშორისო კვლევაში მონაწილე 26 ქვეყნის საშუალოზე დაბალია და 2016 წელს ჩატარებული ანალოგიური კვლევის მაჩვენებლებისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. 2018 წელს საქართველომ მონაწილეობა მიიღო, ასევე, „PISA-ს“ (OECD's Programme for International Student Assessment) კვლევაში<sup>4</sup>, რომელიც 15 წლის მოზარდებში, სხვა მიმართულებებთან ერთად, ფინანსური განათლების მაჩვენებელსაც ზომავს. ამ მაჩვენებლით, საქართველო კვლევაში მონაწილე 20 ქვეყანას შორის მე-19 ადგილზეა. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ჩატარების დროისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასკოლო სახელმძღვანელოებში ჯერ კიდევ არ იყო ინტეგრირებული ფინანსური განათლების საკითხები. 2021 წელს ფინანსური განათლების დონის კვლევა<sup>5</sup> ასევე ჩატარდა მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეებში. მეწარმეების

<sup>3</sup> [OECD/INFE 2020 International Survey of Adult Financial Literacy](https://www.oecd-ilibrary.org/docstore/m13333en.pdf)

<sup>4</sup> [OECD PISA 2018 financial literacy assessment of students](https://www.oecd-ilibrary.org/docstore/m13333en.pdf)

<sup>5</sup> [მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევა, OECD/INFE 2021](https://www.oecd-ilibrary.org/docstore/m13333en.pdf)

ფინანსური განათლების ქულა კვლევაში მონაწილე 14 ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია.

### **ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია 2023**

ფინანსური განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების მიმართულებით გასული წლების განმავლობაში დაგროვდა გარკვეული გამოცდილება, გარდა ამისა, გაჩნდა ახალი გამოწვევები, განსაკუთრებით ახალი კორონავირუსით (COVID-19) განპირობებულ რეალობაში, როდესაც შეიცვალა მომხმარებლების ქცევა და, შესაბამისად, გააქტიურდა ფინანსური განათლების დისტანციურად, „ონლაინ“ მიწოდების შესაძლებლობები, გაჩნდა ახალი პრიორიტეტული მიმართულებები თუ სამიზნე ჯგუფები, დაზუსტდა ფინანსური განათლების საკითხები და ა.შ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოიშვა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის გადახედვისა და ახალი სტრატეგიის შემუშავების საჭიროება. განახლებული სტრატეგია წარმოადგენს ფინანსური განათლების გავრცელებით დაინტერესებული ნებისმიერი მხარისთვის ძირითად სარეკომენდაციო დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებსა და ამოცანებს, ფინანსური განათლების პროგრამების, აქტივობებისა და რესურსების სტრატეგიასთან შესაბამისობის პრინციპებს, ფინანსური განათლების პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს და ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეებს შორის უფრო მოქნილი და პრაქტიკული ფორმატით თანამშრომლობას.

საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია 2023 შეიქმნა ეროვნული ბანკის მიერ, ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტთან აქტიური თანამშრომლობითა და დაინტერესებულ მხარეებთან და საზოგადოებასთან კონსულტაციებით.

### **ფინანსური განათლების დანიშნულება**

მოცემული სტრატეგიის მიზნებისთვის ტერმინი „ფინანსური წიგნიერება“ განისაზღვრება „OECD/INFE-ს“ მიერ შემუშავებული განმარტებით: „ცნობიერების, ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებებისა და ქცევების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია ფინანსურად ჯანსაღი და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად და ფინანსური კეთილდღეობის მისაღწევად.“<sup>6</sup>

ხოლო „ფინანსური განათლება“ არის პროცესი, რომლის შედეგად პიროვნებას უკეთ ესმის ფინანსური პროდუქტების არსი და რისკები და ხელმისაწვდომი ინფორმაციის, ინსტრუქციებისა და ობიექტური რჩევების საფუძველზე ავითარებს საკუთარ თავში უნარებს და რწმენას - გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი, იცის სად წავიდეს დახმარების მისაღებად და განახორციელოს სხვა ეფექტური ქმედებები, რათა გაიუმჯობესოს ფინანსური კეთილდღეობა.

ფინანსურ განათლებას საქართველოში შეუძლია:

<sup>6</sup> [OECD Council Recommendation on Financial Literacy 2020](#)

**გაზარდოს** მოსახლეობის ფინანსური მდგრადობის დონე და გააუმჯობესოს მათი ფინანსური კეთილდღეობა:<sup>7</sup>. მოსახლეობის დიდი ნაწილი ნერვიულობს, რამდენად შეძლებს ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო ხარჯებთან გამკლავებას და თვლის, რომ ფინანსები აკონტროლებს მის ცხოვრებას. ფინანსური განათლება ეხმარება ადამიანებს, თავად შეძლონ საკუთარი ფინანსების კონტროლი და ამცირებს მათი ფინანსური დამოკიდებულების დონეს ოჯახის წევრებსა თუ ახლობლებზე.

**შეამციროს** სიღარიბის დონე, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებში. სოფლად მცხოვრები ადამიანები, მოხუცები და მოსახლეობის ღარიბი ნაწილი უფრო მეტადაა მიდრეკილი ჭარბვალიანობისკენ და დამოკიდებულია ოჯახის წევრებისა და ახლობლების ფინანსურ მხარდაჭერაზე. ფულის მართვასთან, ბიუჯეტირებასა და მოკლევადიან დანაზოგებთან დაკავშირებით ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებამ შესაძლებელია, ხელი შეუწყოს ფინანსებთან დაკავშირებული სტრესისა და ჭარბვალიანობის შემცირებას, ინდივიდების ფინანსური თავდაჯერებულობის ამაღლებას.

**გაზარდოს დანაზოგების, მათ შორის, ფორმალური დანაზოგების მოცულობა.** საქართველოში ფორმალური დანაზოგების დონე დაბალია, დაზოგვის შემთხვევაში, ადამიანები უმეტესად ნაღდი თანხით ზოგავენ და კონკრეტული გრძელვადიანი მიზნების გარეშე. ფინანსური განათლება, მათ შორის, ფორმალურ დაზოგვასა და დაზოგვის გზებზე ცნობიერების ამაღლება, გრძელვადიან პერიოდში შესაძლოა, სარგებლის მომტანი იყოს როგორც ზოგადად, საზოგადოებისთვის, ისე კაპიტალის ბაზრების განვითარებისთვის ქვეყანაში.

**გაზარდოს** ფინანსური ჩართულობა ფინანსური პროდუქტების შესახებ ცნობიერების ამაღლებითა და მათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით. ფინანსები ნაკლებად ხელმისაწვდომია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის, დაბალშემოსავლიანი ინდივიდებისა თუ საოჯახო მეურნეობებისა და ახალგაზრდებისთვის. როცა საქმე სესხებას ან დაზოგვს ეხება, მათი უმრავლესობა ოჯახსა და ახლობლებზეა დამოკიდებული. ფორმალური ფინანსური პროდუქტების გამოყენების წახალისება შეიძლება ფინანსური განათლების ნაწილად განვიხილოთ. ეს შეიძლება მოხდეს მათი სარგებლიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებით, იმის ახსნით, თუ როგორ მუშაობს ესა თუ ის პროდუქტი და როგორ შეიძლება, ამ პროდუქტმა უპასუხოს მომხმარებლის საჭიროებებს. მნიშვნელოვანია, დაზღვევის პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაც, რადგან მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი სარგებლობს დაზღვევის ერთი რომელიმე პროდუქტით მაინც, რაც გაუთვალისწინებელი შემთხვევების დადგომისას თანხის სესხების საჭიროებას წარმოშობს. დაზღვევის პროდუქტების გამოყენებას კი შეუძლია მომხმარებელი გაუთვალისწინებელი შემთხვევებისგან დაიცვას, რაც მათი ფინანსური მდგრადობის დონეს გააუმჯობესებს.

**ხელი შეუწყოს** მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჩარჩოს გაძლიერებას, მომხმარებელთა უფლებებისა და, ასევე, პასუხისმგებლიანი (მსესხებლის გადახდისუნარიანობის

<sup>7</sup> ამ თავში მოცემული რეკომენდაციები და ინფორმაცია ეფუძნება დოკუმენტს - Financial Education Mapping of Georgia, რომელიც შემუშავდა 2020 წელს OECD/INFE-ს მიერ, სხვადასხვა კვლევებზე, მათ შორის მოსახლეობის ფინანსური განათლების კვლევასა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებზე დაყრდნობით.

შეფასებაზე დაფუძნებული) დაკრედიტების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების გზით. ქართულ ფინანსურ სექტორში ჯერ კიდევ არის მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული რისკები, როგორიცაა ჭარბვალიანობა, „მტაცებლური“ დაკრედიტება, ფინანსური პროდუქტების ჯვარედინი შეთავაზება, ფინანსური თაღლითობის შემთხვევები ციფრული ოპერაციებისას და ა.შ.<sup>8</sup> მნიშვნელოვანია, ფინანსური განათლების აქტივობებმა განავითაროს მომხმარებელთა შესაძლებლობები, რათა მათ შეძლონ ციფრულ გარემოში უსაფრთხოდ ნავიგაცია, ფინანსური პროდუქტების ერთმანეთთან შედარება, გონივრული სესხება და ხელშეკრულებების გაცნობა. ფინანსურ განათლებას შეუძლია ხელი შეუწყოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნების მიღწევას, რამდენადაც მომხმარებლებს ექნებათ ცოდნა და უნარები, ისარგებლონ პასუხისმგებლიანი ფინანსური ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული შესაბამისი პროდუქტებით.

გაუმჯობესოს ახალგაზრდა თაობის, ასევე მიკრო და მცირე ბიზნესის მფლობელების ფინანსების მართვის უნარები. ფინანსურ განათლებას შეუძლია ახალგაზრდა თაობის ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობების გაზრდა, ასევე, სამეწარმეო უნარების გაძლიერება, რაც მათ ბიზნესის შექმნისკენ უბიძგებს.

გაზარდოს გრძელვადიანი დანაზოგების მნიშვნელობის შესახებ ინდივიდების ცნობიერება. საქართველოში მოსახლეობა მიდრეკილია მოკლევადიანი ხედვისკენ - ფიქრობენ რა, რომ ფული იმისთვის არის, რომ დაიხარჯოს და არ ზოგავენ გრძელვადიანი მიზნებისთვის. ასევე, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის სხვა ქვეყნებს თუ შევადარებთ, საქართველოს მოსახლეობა ყველაზე ნაკლებად აქვს საპენსიო ასაკისთვის მზაობის განცდა. ფინანსური განათლების აქტივობები შეიძლება გამოყენებული იქნას ზრდასრული და დასაქმებული მოსახლეობისთვის, რათა აამაღლოს მათი ცნობიერება გრძელვადიანი საჭიროებებისთვის, მათ შორის, საპენსიო ასაკისთვის დაზოგვის შესახებ. ფინანსური განათლება ეხმარება მომხმარებელს, ადრეულ ასაკშივე მიიღოს ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რაც ხელს შეუწყობს, ფინანსურად მომზადებული შეხვდეს საპენსიო ასაკს.

უზრუნველყოს ქალებისა და კაცების თანაბარი შესაძლებლობები ფინანსური ცოდნისა და თავდაჯერებულობის კუთხით. ფინანსური ცოდნის კომპონენტში ქალებს კაცებთან შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვთ, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათი ფინანსური ქცევა მსგავსია. ფინანსური განათლების აქტივობებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ქალების თავდაჯერებულობის ამაღლებას, საკუთარი ფინანსური და ეკონომიკური შესაძლებლობების უკეთ გამოყენებას.

დაქმაროს ემიგრანტებსა და მათ ოჯახებს გზავნილების მართვაში. ფინანსური განათლების პროგრამები შეიძლება ორიენტირებული იყოს როგორც ემიგრანტებზე, ისე მათი ოჯახის წევრებზე, რათა გაუმჯობესდეს მათი ცოდნა გაცვლითი კურსის რისკების, სხვადასხვა ტიპის გზავნილის შესახებ და ასევე, გაუმჯობესდეს მათი უნარები ბიუჯეტირებისა და ფინანსური დაგეგმვის მიმართულებით.

<sup>8</sup> World Bank FCP TA mission

ხელი შეუწყოს ფინანსური განათლების დისტანციურ გავრცელებას. დისტანციურ არხებს შეუძლია გაზარდოს წვდომა სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთან, ასევე ახალგაზრდა თაობასთან, ასევე შეამციროს ფინანსური განათლების გავრცელების ხარჯები. ამასთან, უფროსი ასაკის მოსახლეობაზე წვდომის უზრუნველსაყოფად, დისტანციურ არხებთან ერთად ისეთი ტრადიციული არხების გამოყენებაც მნიშვნელოვანია, როგორიცაა რადიო და ტელევიზია.

ხელი შეუწყოს ძირითადი ფინანსური უნარების ადრეული ასაკიდანვე განვითარებას. „PISA-ს“ 2018-ის კვლევის მიხედვით, ქართველ მოსწავლეებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაუმჯობესებელი ფინანსური ცოდნის, დამოკიდებულებების და ქცევების მიმართულებით. ფინანსური უნარებისა და ჯანსაღი ფინანსური ჩვევების ადრეული ასაკიდანვე გამომუშავება ძალიან მნიშვნელოვანია სწორი ფინანსური ქცევის ჩამოყალიბებისა და გრძელვადიანი სტაბილურობისთვის. მოსწავლეების ფინანსური განათლების დონის გაუმჯობესებას შეიძლება დადებითი ზეგავლენა ჰქონდეს მათ ოჯახებზეც. „PISA-ს“ კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ფინანსურად განათლებული მოსწავლეები უფრო წინდახედულები არიან და უფრო მეტად იაზრებენ პირადი ფინანსური პროაქტიულობის (ფულის გამომუშავებისა და მართვის საკუთარ თავზე აღების) მნიშვნელობას. კვლევა ასევე აჩვენებს, რომ დაბალი აკადემიური მოსწავლეების მქონე მოსწავლეების ფინანსური განათლების გაუმჯობესება შეიძლება იყოს ერთ-ერთი გზა შემოსავლით გამოწვეული უთანასწორობის შემცირებისთვის. PISA-ს (მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა) კვლევის შედეგები ასევე აჩვენებს, რომ მოსწავლეებს მაღალშემოსავლიანი ოჯახებიდან უკეთესი შედეგები ჰქონდათ, ვიდრე მოსწავლეებს დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან. ფინანსური განათლების სკოლებში დაწერგვით კი ზემოხსენებული ორივე ჯგუფის მოცვაა შესაძლებელი.

## სტრატეგიის მოკლე მიმოხილვა

საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი აკონტროლებს ოჯახის ბიუჯეტს, თუმცა, ფინანსური დამოკიდებულებების მხრივ, უმრავლესობა მოკლევადიან შედეგებზეა ორიენტირებული. მოსახლეობის უმრავლესობა იშვიათად ზოგაცს გრძელვადიანი მიზნებისთვის, მათ შორის, საპენსიო ასაკისთვის. დანაზოგის შესანახად და თანხის სასესხებლად, ხშირად მიმართავენ არაფორმალურ არხებს. ფინანსებთან დაკავშირებული სტრესი მაღალია.

ფინანსურ განათლებას შეუძლია, ხელი შეუწყოს ფინანსური ჩართულობის დონის გაუმჯობესებას, სიღარიბისა და შემოსავლების უთანასწორობის შემცირებას, ფინანსური რისკების მართვასა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების შექმნასა და განვითარებას, ასევე ახალგაზრდა თაობის მომავალი ცხოვრებისთვის მომზადებას.

ეროვნულმა ბანკმა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მანდატის ფარგლებში შეიმუშავა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია.

**სტრატეგიის ხედვა:** ფინანსური განათლების გამოყენებით მოსახლეობას შეუძლია მიიღოს ინფორმირებული ფინანსური გადაწყვეტილებები, რაც შეამცირებს მათ ფინანსურ სტრესს და გააუმჯობესებს ფინანსურ მდგრადობასა და კეთილდღეობას.

**სტრატეგიის მისაი:** ხელი შეუწყოს ისეთი გარემოს შექმნას, რომელშიც ეროვნული ბანკი და დაინტერესებული მხარეები შეძლებენ კოორდინირებულ მოქმედებას მოსახლეობის ფართო მასებში ფინანსური განათლების გასავრცელებლად, რის შედეგადაც მოსახლეობას ექნება შესაბამისი ინფორმაცია, ცოდნა, ქცევა, დამოკიდებულება და უნარები მიიღოს ინფორმირებული ფინანსური გადაწყვეტილებები და იმოქმედოს საკუთარი საუკეთესო ფინანსური ინტერესებისთვის.

**სტრატეგიის მისიის შესასრულებლად, ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებებია:**

1. ახალგაზრდა თაობისთვის ფინანსური განათლების მიწოდება და მათი მომავალი ცხოვრებისთვის მომზადება;
2. მოსახლეობის გონივრული ფინანსური ქცევების წახალისება და დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
3. საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, მიუკერძოებელი ფინანსური ინფორმაციის, რესურსებისა და არხების გამოყენების ზრდა;
4. დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის მექანიზმების შექმნა და განვითარება.

თითოეული პრიორიტეტული მიმართულებისათვის სტრატეგია ისახავს მისაღწევ ამოცანებსა და სასურველ შედეგებს.

სტრატეგიის მისიის შესრულება და განხორციელება ხდება ყოველწლიური დეტალური სამოქმედო გეგმის საშუალებით, რომელიც განსაზღვრავს და აღწერს სტრატეგიის დანერგვისთვის განსახორციელებელ ფინანსური განათლების აქტივობებსა და მათ განსახორციელებლად საჭირო რესურსებსა და ვადებს, ასევე სტრატეგიის დანერგვაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს.

დაინტერესებული მხარეების მიერ ფინანსური განათლების აქტივობების შემუშავებისთვის სტრატეგია განსაზღვრავს ფინანსური განათლების ძირითად საკითხებს, ასევე, ფინანსური განათლების პროგრამების, აქტივობებისა და რესურსების ეროვნულ სტრატეგიასთან შესაბამისობის პრინციპებს.

სტრატეგიის დანერგვის კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებს ეროვნული ბანკი. სტრატეგიის ეფექტიანი დანერგვის ხელშეწყობის, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ფუნქციონირებს სტრატეგიის მართვის კომიტეტი.

სტრატეგიის ფარგლებში მიღწეული შედეგების შეფასება მოხდება ეროვნული ბანკის მიერ, მათ შორის, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული ფინანსური განათლების დონის პერიოდული კვლევებით.

შედეგების შეფასებისას, ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური განათლების ცალკეული აქტივობის შეფასებაც, რომელიც უნდა მოხდეს უშუალოდ აქტივობის განმახორციელებელი დაინტერესებული მხარ(ებ)ის მიერ.

შედეგების შეფასებისა და გაზომვის მიზნებისთვის შემუშავებული მექანიზმების მიხედვით შეფასდება, თუ რამდენად მიაღწია აღნიშნულმა აქტივობამ დასახულ მიზნებს.

## საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების დონე

2019 წელს, „OECD/INFE-ის“ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, ჩატარდა საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების დონის კვლევა. კვლევის შედეგები შედარებული იქნა როგორ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის 7 ქვეყანას<sup>9</sup>, ისე გლობალურ კვლევაში მონაწილე 26 ქვეყანას. საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების ქულამ შესაძლო 21 ქულიდან 12.1 (57.6%) შეადგინა, რაც ნაკლებია როგორც გლობალურ კვლევაში მონაწილე ქვეყნების (12.7 ქულა), ისე „OECD“ ქვეყნების (13.0 ქულა) მოსახლეობის ფინანსური განათლების საშუალო ქულაზე.

### ფინანსური განათლების საერთო დონე

თუ ფინანსური განათლების ქულას კომპონენტების მიხედვით წარმოვადგენთ, ვნახავთ, რომ ცოდნის კომპონენტში საქართველოს ქულა უფრო მაღალია, ვიდრე ყველა ქვეყნის საშუალო ქულა. ქცევის კომპონენტში კი - მცირედით ჩამორჩება საშუალო მაჩვენებელს. რაც შეეხება დამოკიდებულებებს, აღნიშნულ კომპონენტში საქართველომ სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე დაბალი შედეგი აჩვენა.

### ფინანსური ცოდნა

ცოდნის მხრივ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას კარგად ესმის ისეთი საკითხები, როგორიცაა: ფულის ღირებულება დროში (76%), სესხზე გადასახდელი პროცენტი (89%), რისკი და უკუგება (79%), ინფლაცია (87%). საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარს გააზრებული აქვს რისკის დივერსიფიცირება (54%), თუმცა, უმრავლესობისთვის რთული აღმოჩნდა მარტივი პროცენტის გამოთვლა (44%) და რთული პროცენტის არსის ახსნა (43%), ხოლო, ორივე ტიპის პროცენტი სწორად მოსახლეობის მხოლოდ 24%-ს ესმის. რაც შეეხება ფინანსური ცოდნის თვითშეფასებას, საქართველოს მოსახლეობა მეტ-ნაკლებად დარწმუნებულია საკუთარ ფინანსურ ცოდნაში: ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ მათ აქვთ საშუალო ფინანსური ცოდნა (65%), 21% მიიჩევს, რომ მათი ცოდნის მაჩვენებელი მაღალია, და მხოლოდ 12% აფასებს დაბალ დონეზე საკუთარ ცოდნას.

### ფინანსური ქცევა

საკუთარი ფინანსების კონტროლის თვალსაზრისით, მოსახლეობის 57%-ს აქვს გეგმა, როგორ გააკონტროლოს ოჯახის შემოსავლები და ხარჯები (აქვს ოჯახის ბიუჯეტი), 88% დროულად იხდის გადასახადებს, 71% აკონტროლებს საკუთარ ფინანსურ მდგომარეობას, 70% გააზრებულად ეკიდება შესყიდვებს და შესყიდვისას განიხილავს ალტერნატივებს.

ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით, საქართველოს მოსახლეობის 66.7% აქტიური დამზოგველია, თუმცა, მათგან მხოლოდ 33.1% ისახავს გრძელვადიან ფინანსურ მიზნებს

<sup>9</sup> [OECD/INFE 2020 Financial Literacy of Adults in South East Europe](#)

(ზოგადად, კი მოსახლეობის 40.4% ისახავს გრძელვადიან მიზნებს). როგორც აღმოჩნდა, რომ მათგან, ვინც კვლევის ჩატარების წინა წელს თანხა დაზოგა, მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობამ განათავსა დანაზოგი საბანკო დეპოზიტზე (11%), ხოლო დიდმა ნაწილმა სახლში, ნაღდი ფულის სახით შეინახა (57%) ან ოჯახის წევრებს ანდო შესანახად (25%). რაც გარკვეულწილად შესაძლოა იმაზეც მიანიშნებდეს, რომ არაფორმალური დაზოგვის სისტემების ნდობა შესაძლოა უფრო მაღალი იყოს, ვიდრე ფორმალური სისტემებისადმი. მოსახლეობის ნახევარზე მეტმა (55%) აღნიშნა, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში, მათ ჰქონიათ შემთხვევა, როცა მათი ხარჯები აჭარბებდა შემოსავალს. აღნიშნულ სიტუაციასთან გასამკლავებლად, ისინი მიმართავდნენ სესხებას, თუმცა, უმეტესობა არაფორმალურ წყაროს, მაგალითად, თანხას სესხულობდნენ ოჯახის წევრებისგან, მეგობრებისგან ან ახლობლებისგან (30.4%) ან მაღაზიიდან პროდუქტი მოჰქონდათ შემდეგში გადახდის პირობით (9.2%), მცირე ნაწილმა კი თანხა ისესხა ფორმალური წყაროებიდან, მაგალითად აიღო სამომხმარებლო სესხი ფინანსური მომსახურების მოწოდებლისგან (7.7%). რაც შეეხება ფინანსურ სიძნელეებთან გამკლავების არასასესხო გზებს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში მხოლოდ მცირე ნაწილმა თქვა უარი ხარჯების შემცირებაზე (16.1%) და უფრო მეტმა მიმართა დახმარებისთვის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს (22.9%).

რაც შეეხება საპენსიო ასაკისთვის მზაობას, მოსახლეობის მხოლოდ 12%-მა დააფიქსირა მზაობის განცდა საპენსიო ასაკისთვის, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა საპენსიო ასაკში დამოკიდებულია შვილებსა და ოჯახის წევრებზე (68.7%), მეუღლესა (55.6%) და სახელმწიფო პენსიაზე (62.8%).

რაც შეეხება ფინანსური პროდუქტის შერჩევისას ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას, მიუხედავად იმისა, რომ სხვა პროდუქტების შემთხვევაში, მოსახლეობა იძიებს ალტერნატივებს, უშუალოდ ფინანსური პროდუქტების შეძენისას, ფასების შედარებას მოსახლეობის მხოლოდ 20% ცდილობს, ხოლო მიუკერძოებელ რჩევას მხოლოდ 38% ეძებს. როცა ფინანსური განათლების მიღების არხებზეა საუბარი, მოსახლეობის 28% ამ საკითხში არცერთ ორგანიზაციას ენდობა, 27% ენდობა ეროვნულ ბანკს, 10% - მთავრობას, 8% - კომერციულ ბანკებს, 21%-ს კი არ აქვს ამ კითხვაზე პასუხი.

### **ფინანსური დამოკიდებულებები**

დამოკიდებულებების მხრივ, მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს, რომ ფული იმისთვისაა, რომ დაიხარჯოს (79%), ბევრი მათგანი კი სრულად ან ნაწილობრივ იზიარებს მოსაზრებას, რომ ფულის გრძელვადიანი მიზნებისთვის შენახვასთან შედარებით მეტ კმაყოფილებას ფულის ხარჯვა ანიჭებს (56%), ხოლო, 37% მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობს და ხვალინდელ დღეზე ნაკლებად ფიქრობს.

### **ფინანსური ჩართულობა**

მოსახლეობაში ფინანსური პროდუქტების შესახებ ინფორმირებულობის დონე მაღალია, მოსახლეობის 84%-მა იცის მინიმუმ 5 ფინანსური პროდუქტის შესახებ, თუმცა, როდესაც კითხვა ეხებოდა ფინანსური პროდუქტების მოხმარებას, მოსახლეობის 47%-მა აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში შეარჩია ფინანსური პროდუქტი, ხოლო 46%-მა აღნიშნა, რომ თანხის სასესხებლად ან დანაზოგის შესანახად მიმართა ოჯახის წევრებს ან მეგობრებს. რაც შეეხება

გავრცელებულ პროდუქტებს, ესაა მიმდინარე ანგარიში/სადებეტო ბარათი (42.1%) და საკრედიტო პროდუქტები (39.3%), ნაკლებია საინვესტიციო/საპენსიო (13.5%) და სადაზღვევო პროდუქტების (9.8%) მოხმარება.

### ფინანსური კეთილდღეობა

გამოკითხული მოსახლეობის 58% ეთანხმება დებულებას, რომ უკმაყოფილოა თავისი ფინანსური მდგომარეობით, 67% ფიქრობს, რომ მისი ფინანსური სიტუაცია უზღუდავს შესაძლებლობას, აკეთოს მისთვის მნიშვნელოვანი საქმეები, 59% კი ეთანხმება დებულებას, რომ ნერვიულობს ყოველდღიური ფინანსური ხარჯების გასტუმრებაზე. გამოკითხულთა 67% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ფინანსები აკონტროლებს მათ ცხოვრებას, 65% კი დარდობს იმაზე, რომ შესაძლოა ფული არ ეყოს. მეორე მხრივ, გამოკითხულთა უმრავლესობა არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ბევრი ფინანსური ვალდებულებები აქვს (62%).

## სტრატეგიის მანდატი, ხედვა და მისია

**მანდატი:** ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ამოცანა საფინანსო სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვა<sup>10</sup>. ფინანსური განათლება კი განიხილება, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჩარჩოს განუყოფელი ნაწილი. ამდენად, ეროვნულ ბანკს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მანდატი ფინანსური განათლების პოლიტიკის განხორციელების, მათ შორის, ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისთვის.

**სტრატეგიის ხედვა:** ფინანსური განათლების გამოყენებით მოსახლეობას შეუძლია მიიღოს ინფორმირებული ფინანსური გადაწყვეტილებები, რაც შეამცირებს მათ ფინანსურ სტრესს და გააუმჯობესებს ფინანსურ მდგრადობასა და კეთილდღეობას.

**მისია:** ხელი შეუწყოს ისეთი გარემოს შექმნას, რომელშიც ეროვნული ბანკი და დაინტერესებული მხარეები შეძლებენ კოორდინირებულ მოქმედებას მოსახლეობის ფართო მასებში ფინანსური განათლების გასავრცელებლად, რის შედეგადაც მოსახლეობას ექნება შესაბამისი ინფორმაცია, ცოდნა, ქცევა, დამოკიდებულება და უნარები მიიღოს ინფორმირებული ფინანსური გადაწყვეტილებები და იმოქმედოს საკუთარი საუკეთესო ფინანსური ინტერესებისთვის.

## სტრატეგიის მაკორდინირებელი ორგანო (ეროვნული ბანკი) და მართვის კომიტეტი

ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია შექმნილია ეროვნული ბანკის მიერ, დაინტერესებულ მხარეებთან და საზოგადოებასთან კონსულტაციებით. სტრატეგიის კოორდინაციასა და დანერგვის მონიტორინგს ახორციელებს ეროვნული ბანკი.

სტრატეგიის მისიის შესრულება და განხორციელება ხდება ყოველწლიური დეტალური სამოქმედო გეგმებით, ეროვნული ბანკისა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ. სტრატეგიის

<sup>10</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. მუხლი 47

ეფექტიანი დანერგვის ხელშეწყობის, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ფუნქციონირებს სტრატეგიის მართვის კომიტეტი.

სტრატეგიის მართვის კომიტეტის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი დაინტერესებული მხარე საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორიდან, რომელიც მიიღებს მონაწილეობას ყოველწლიური სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ფინანსური განათლების აქტივობების ინიცირებასა თუ დანერგვაში, როგორც ადამიანური, ისე ფინანსური თუ სხვა საჭირო რესურსით. კომიტეტის სხდომებზე მოხდება სტრატეგიის სამოქმედო გეგმების დამტკიცება და მათი შესრულების ანგარიშების მოსმენა, ასევე ფინანსური განათლების მიმართულებით სიახლეების, საუკეთესო პრაქტიკის, გამოცდილების, რჩევებისა და რეკომენდაციების გაზიარება.

კომიტეტის წევრები შესაძლოა არჩეულნი იყვნენ კონკრეტული ვადით ან უვადოდ. ცალკეული პროგრამების გასახორციელებლად შესაძლოა, შეიქმნას კომიტეტის სამუშაო ჯგუფები.

კომიტეტის ფუნქციები მოიცავს: სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებებისა და ამოცანების შესაბამისად ფინანსური განათლების აქტივობების ინიცირებას, მათ სამოქმედო გეგმაში გაწერასა და შესრულებას; დაინტერესებულ მხარეებთან ერთობლივ აქტივობებში მონაწილეობას ადამიანური, ფინანსური თუ სხვა საჭირო რესურსით; ფინანსური განათლების აქტივობების დახვეწისა და დანერგვის კუთხით რეკომენდაციების შემუშავებას; დამოუკიდებლად განხორციელებული ფინანსური განათლების აქტივობების მონიტორინგსა და შეფასებას, ასევე, ამ მიმართულებით რეკომენდაციების შემუშავებასა და სხვ.

კომიტეტის სხდომებზე მოხდება სტრატეგიის სამოქმედო გეგმების დამტკიცება და მათი შესრულების ანგარიშების მოსმენა, ასევე, ფინანსური განათლების მიმართულებით სიახლეების, საუკეთესო პრაქტიკის, გამოცდილების, რჩევებისა და რეკომენდაციების გაზიარება.

ფინანსური განათლების სტრატეგიის მართვის კომიტეტის წევრების შერჩევა, ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები და სხვა დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებით.

## სტრატეგიის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული მხარეები

სტრატეგიის მისიის შესრულებისა და ზოგადად, ფინანსური განათლების ფართოდ გავრცელებისთვის, მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის ჩართულობა.

დაინტერესებულ მხარეში მოიაზრება ნებისმიერი მხარე, რომელსაც სურს ფინანსური განათლების გავრცელება/აქტივობების განხორციელება დამოუკიდებლად ან ეროვნული ბანკის პროექტებში ჩართულობით, მათ შორის:

- საჯარო დაწესებულებები:
  - სამინისტროები;
  - საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ-ები);
  - სხვა სახელმწიფო სტრუქტურები.
- კერძო სექტორი
  - კომერციული ბანკები;
  - მიკროსაფინანსო ორგანიზაციები;
  - კაპიტალის ბაზრის წარმომადგენლები;
  - სადაზღვევო კომპანიები;
  - ფინანსური მომსახურების სხვა მიმწოდებლები;
  - ბიზნეს ასოციაციები.
- სამოქალაქო და საგანმანათლებლო სექტორი:
  - არასამთავრობო ორგანიზაციები;
  - დონორი ორგანიზაციები;
  - საგანმანათლებლო დაწესებულებები;
  - კვლევითი ორგანიზაციები;
  - სამოქალაქო სექტორის სხვა წარმომადგენლები.

## სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები

სტრატეგიის მისიის შესასრულებლად, ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებებია:

1. ახალგაზრდა თაობისთვის ფინანსური განათლების მიწოდება და მათი მომავალი ცხოვრებისთვის მომზადება;
2. მოსახლეობის გონივრული ფინანსური ქცევების წახალისება და დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
3. საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, მიუკერძოებელი ფინანსური ინფორმაციის, რესურსებისა და არხების გამოყენების ზრდა;
4. დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის მექანიზმების შექმნა და განვითარება.

### პრიორიტეტული მიმართულება #1: ახალგაზრდა თაობისთვის ფინანსური განათლების მიწოდება და მათი მომავალი ცხოვრებისთვის მომზადება

„OECD-ის“ რეკომენდაციის თანახმად<sup>11</sup>, ფინანსური განათლება რაც შეიძლება ადრე, სასკოლო ასაკიდან უნდა იწყებოდეს. მაშინ, როდესაც „PISA-ს“ 2018 წლის კვლევის თანახმად, ქართველი მოსწავლეების ფინანსური განათლების დონე ერთ-ერთი ყველაზე დაბალია გამოკითხულ ქვეყნებს შორის, ასევე, „OECD-ის“ 2020 წლის კვლევის თანახმად, 18-29 წლის ახალგაზრდები უფროს მოსახლეობასთან შედარებით ნაკლებად აკონტროლებენ თავიანთ ფინანსებს და ნაკლებად აკეთებენ გააზრებულ შესყიდვებს, საჭიროა მოსწავლეებისა და ახალგაზრდების ფინანსური უნარების განვითარება და ჯანსაღი ფინანსური ჩვევების გამომუშავება, რაც მნიშვნელოვანია მომავალში მათი პასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოყალიბებისა და გრძელვადიანი ფინანსური კეთილდღეობისთვის.

<sup>11</sup> [OECD council recommendation on financial literacy 2020](#)

მართალია, „OECD-ის“ ზემოაღნიშნული კვლევის თანახმად, დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით, ახალგაზრდები უფრო ნაკლებ ფინანსურ სტრუქტურას განიცდიან, თუმცა, ეს შესაძლოა გამოწვეულია იმით, რომ მათ ჯერ კიდევ ნაკლები ფინანსური პასუხისმგებლობები აქვთ, ასევე, შესაძლოა, ისინი კარგად ვერ აცნობიერებდნენ ფინანსური სირთულეების გრძელვადიან შედეგებს. ამასთან, ახალგაზრდა თაობა უკეთეს ფინანსურ დამოკიდებულებებს ამჟღავნებს.

ახალგაზრდების ფინანსური განათლების ამაღლებისკენ მიმართული აქტივობები შესაძლებელია მიწოდებული იყოს სკოლებში როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური გზებით, ასევე უმაღლესი განათლებისა და პროფესიულ სასწავლო დაწესებულებებში.

ფინანსური განათლების აქტივობები<sup>12</sup> ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებაზე, არამედ, უნარების განვითარებაზე, დამოკიდებულებებისა და ქცევის ცვლილებაზე, ახალგაზრდებს ამზადებდეს შრომის ბაზარზე გასვლისთვის. მნიშვნელოვანია, რთული თემების ახსნადე იფარებოდეს ფინანსური განათლების საბაზისო საკითხები, როგორიცაა ბიუჯეტირება და დაზოგვა.

ფინანსური განათლების სკოლებში დანერგვასთან ერთად მნიშვნელოვანია მასწავლებლების შესაძლებლობების ზრდა და მათთვის საჭირო რესურსების მომზადება. სასურველია, ეს აქტივობები ითვალისწინებდეს არა მხოლოდ მოსწავლეების, არამედ მშობლების ჩართულობასაც.

მომავალი თაობის ფინანსური აღზრდა ითვალისწინებს ეროვნულ ბანკთან ერთად სხვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, კერძო სექტორის, მასწავლებელთა და მშობელთა გაერთიანებების და ა.შ. ჩართვას.

პრიორიტეტული მიმართულების - ახალგაზრდა თაობისთვის ფინანსური განათლების მიწოდება და მათი მომავალი ცხოვრებისთვის მომზადება - ფარგლებში სტრატეგიის მისაღწევი ამოცანებია:

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფინანსური განათლების დანერგვის ხელშეწყობა;
- უმაღლესსა და პროფესიული სასწავლო დაწესებულებებში ფინანსური განათლების დანერგვის ხელშეწყობა.

**სასურველი შედეგი:** ახალგაზრდებს აქვთ საკვანძო ფინანსური საკითხების ცოდნა, გამომუშავებული აქვთ სწორი ფინანსური ჩვევები და დამოკიდებულებები და შეუძლიათ ინფორმირებული ფინანსურ გადაწყვეტილებების მიღება ზრდასრულ ცხოვრებაში.

**პრიორიტეტული მიმართულება #2: მოსახლეობის გონივრული ფინანსური ქცევების წახალისება და დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა**

საქართველოში მოსახლეობის დიდ ნაწილს აქვს ბიუჯეტირებისა და ოჯახის ფინანსების კონტროლის ჩვევა, თუმცა, უმეტესობა უპირატესობას მოკლევადიან შედეგებზე ორიენტაციას ანიჭებს - ფიქრობს რა, რომ ფული იმისთვის არის, რომ დაიხარჯოს და არ

<sup>12</sup> [Youth Financial Education in South East Europe, OECD/INFE 2021](#)

ზოგავს გრძელვადიანი მიზნებისთვის. ამასთან, მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს აქვს საპენსიო ასაკისთვის მზაობის განცდა. მოსახლეობაში ფინანსური პროდუქტების შესახებ ცნობადობა მაღალია, თუმცა, მათი მოხმარება - საშუალო. ასევე, მაღალია არაფორმალური მომსახურებების წილი - კერძოდ, ქვეყნის მოსახლეობა სესხებისთვის ხშირად მიმართავს ახლობლებს და დამზოგველების დიდი ნაწილი დანაზოგს ნაღდი თანხით, სახლში ინახავს. ფინანსებთან დაკავშირებული სტრესი მაღალია - მოსახლეობის უმრავლესობა უკმაყოფილოა საკუთარი ფინანსური მდგომარეობით და ფიქრობს, რომ ფინანსები აკონტროლებს მის ცხოვრებას.

ამასთან, ფინანსურ ბაზარზე ჯერ კიდევ გახვდება მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული რისკები, როგორიცაა ჭარბვალიანობა, ე.წ. „მტაცებლური“ დაკრედიტება, ფინანსური პროდუქტების ჯვარედინი შეთავაზება, ფინანსური თაღლითობის შემთხვევები ციფრული ოპერაციებისას და ა.შ.

ფინანსური განათლების აქტივობები შეიძლება მიწოდებული იყოს მთლიანი მოსახლეობისთვის, რომლებიც ორიენტირებული იქნება ფინანსური განათლების საკვანძო უნარების განვითარებაზე, მათ შორის, ბიუჯეტირების, ასევე მარტივი და რთული პროცენტის, რისკისა და დივერსიფიკაციის არსის შესახებ ცოდნის ამაღლებაზე; გრძელვადიანი დაგეგმვისა და დაზოგვის კულტურის წახალისებაზე; დანაზოგებისა და ფულადი ვალდებულებების მართვაზე ჭარბვალიანობის შესამცირებლად და ფინანსური მდგრადობის გასაუმჯობესებლად.

ფინანსური განათლების აქტივობები ასევე შესაძლებელია ორიენტირებული იყოს მოსახლეობის უნარებისა და თავდაჯერების გაუმჯობესებაზე, რათა ისინი უკეთ გაერკვიონ თავიანთი, როგორც ფინანსური სექტორის მომხმარებლის უფლებებში და პასუხისმგებლობებში, შეძლონ ციფრულ გარემოში უსაფრთხოდ ნავიგაცია, ფინანსური პროდუქტების ერთმანეთთან შედარება, გონივრული სესხება და ხელშეკრულებების გაცნობა. მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია ბაზარზე არსებული არაეთიკური პრაქტიკების შესახებ და იცოდნენ, სად მიიღონ მიუკერძოებელი, საჭირო ფინანსური ინფორმაცია თუ კონსულტაცია.

ფინანსური განათლების აქტივობები, ასევე, შეიძლება მიწოდებული იყოს კონკრეტული ჯგუფებისთვის, რომელიც მორგებული იქნება მათ საჭიროებებსა და თავისებურებებზე.

ამისთვის, პრიორიტეტული მიმართულების - მოსახლეობის გონივრული ფინანსური ქცევების წახალისება და დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა - ფარგლებში, სტრატეგიის ძირითადი სამიზნე ჯგუფებია:

- ზრდასრული მოსახლეობა;
- სოფლად მცხოვრები მოსახლეობა;
- ქალები;
- მოწყვლადი ჯგუფები (ემიგრანტები, ასაკოვანი მოსახლეობა);
- მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეები.

## ზრდასრული მოსახლეობა

ამ სამიზნე ჯგუფში მოიაზრება როგორც ახალგაზრდები (24-29), ისე საშუალო ასაკის (30-59) მოსახლეობა, რომლებიც არიან დასაქმებულები, თვითდასაქმებულები ან აქვთ შემოსავლის გარკვეული წყარო და ქმნიან ქვეყნის ეკონომიკურ დოკუმენტაციას. მართალია, მოსახლეობის ამ ასაკობრივ კატეგორიას (30-59) ყველაზე მაღალი შედეგები აქვს ფინანსური ცოდნისა და ქცევების კუთხით, თუმცა, ფინანსური განათლების აქტივობებს ამ სამიზნე ჯგუფში შეუძლია გაზარდოს გრძელვადიანი დაზოგვისა და საპენსიო ასაკისათვის მზაობის მნიშვნელობის შესახებ ცოდნა, გაუმჯობესოს ბიუჯეტირების, ასევე, ფულადი ვალდებულების მართვის უნარები, მიაწოდოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია საკუთარი უფლებების დაცვისა და ფინანსური უსაფრთხოების შესახებ<sup>13</sup>.

## სოფლად მცხოვრები მოსახლეობა

სოფლად მცხოვრები მოსახლეობა საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ჯგუფია, ვინაიდან იგი შეადგენს მთლიანი მოსახლეობის 40%-ს<sup>14</sup>. სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას აქვს უფრო დაბალი შედეგები ფინანსური ცოდნისა და ქცევების კუთხით, ვიდრე ქალაქის მაცხოვრებლებს, ასევე, ნაკლებია მათი ფინანსური ჩართულობის დონე. ისინი უფრო მოწყვლადები არიან ფინანსური შოკებისადმი და ფინანსური დახმარებისთვის უმეტესად მიმართავენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

## ქალები

ფინანსური ცოდნის კომპონენტში ქალებს კაცებთან შედარებით დაბალი მაჩვენებლი აქვთ, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათი ფინანსური ქცევა მსგავსია, დამოკიდებულებების მხრივ კი პირიქით - ქალებს კაცებთან შედარებით უკეთესი მაჩვენებელი აქვთ. თუმცა, საგულისხმოა, რომ „ზემოაღნიშნული PISA-ს“ კვლევის შედეგების მიხედვით, გოგონებმა ფინანსური განათლების საერთო დონით ბიჭებთან შედარებით უკეთესი შედეგები აჩვენეს.

ამავე დროს, სამუშაო ძალის გარეთ<sup>15</sup> არსებული ქალების წილი კაცების ანალოგიურ მაჩვენებლებს საშუალოდ 1,5-ჯერ აღემატება, მაშინ, როცა დასაქმების დონე ქალების შემთხვევაში, კაცებთან შედარებით დაბალია, ხოლო, დასაქმებული ქალები უფრო ნაკლებს გამოიმუშავებენ, ვიდრე კაცები,<sup>16</sup> შედეგად, ქალების შემთხვევაში უფრო მაღალი რისკია, ისინი ფინანსური სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ.

ფინანსური განათლების აქტივობებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ ქალების თავდაჯერებულობის ამაღლებას, საკუთარი ფინანსური და ეკონომიკური შესაძლებლობების უკეთ გამოყენებას<sup>17</sup>.

<sup>13</sup> [OECD/INFE 2022 Policy handbook on financial education in the workplace](#)

<sup>14</sup> [Geostat, 2022](#)

<sup>15</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განმარტებით, სამუშაო ძალის გარეთ – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში არ იყო დასაქმებული, არ ემებდა სამუშაოს გასული 4 კვირის განმავლობაში და/ან არ იყო მზად მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.

<sup>16</sup> [Geostat, 2022](#)

<sup>17</sup> [OECD/INFE 2013 Policy Guidance on Addressing Womens' and Girls' Needs for Financial Awareness and Education](#)

ფინანსური განათლების აქტივობები შესაძლოა, ორიენტირებული იყოს ქალებისთვის ფინანსური ცოდნის გაუმჯობესებაზე, ასევე, მორგებული იყოს ამ ჯგუფის სპეციფიკურ თავისებურებებზე და ითვალისწინებდეს მათს საჭიროებებს.

### მოწყვლადი ჯგუფები (ემიგრანტები, ასაკოვანი მოსახლეობა)

უფროსი ასაკის (60-79) მოსახლეობას დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით ყველაზე უარესი მაჩვენებელი აქვს როგორც ფინანსური ცოდნის, ისე ქცევისა და დამოკიდებულებების მიმართულებით. როგორც სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში, ასევე მოწყვლად ჯგუფებში ფინანსურ პროდუქტებთან, ფულის მართვასთან, ბიუჯეტირებასა და მოკლევადიან დანაზოგებთან დაკავშირებით ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებამ შესაძლებელია, ხელი შეუწყოს ფინანსებთან დაკავშირებული სტრესისა და ჭარბვალიანობის შემცირებას, მათი თავდაჯერების ამაღლებას, ასევე, ფინანსური პროდუქტების შესახებ ცნობიერების ამაღლებამ, შესაძლოა ხელი შეუწყოს ამ ჯგუფების ფინანსური ჩართულობის გაზრდას. გარდა ამისა, ფინანსური განათლების აქტივობები შეიძლება ორიენტირებული იყოს როგორც ემიგრანტებზე, ისე, მათი ოჯახის წევრებზე, რათა გაუმჯობესდეს მათი ცოდნა გაცვლითი კურსის რისკების, სხვადასხვა ტიპის გზავნილის ხარჯების, მათი ერთმანეთთან შედარების მნიშვნელობისა და გზავნილით სარგებლობისას ფინანსური უსაფრთხოების წესების შესახებ. ამასთან, პროგრამები შესაძლოა ითვალისწინებდეს გზავნილების თანხების გონივრული გამოყენების, მათ შორის, ინვესტირებისა და სხვა ალტერნატივების სარგებლიანობის განხილვას.

### მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეები

მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს<sup>18</sup>. მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება კი ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაა, რაც სხვა საჭიროებებთან ერთად, მეწარმეების ფინანსურ განათლებასაც გულისხმობს.

მოსახლეობის ფინანსური განათლების კვლევის თანახმად, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელებს უფრო მაღალი შედეგები აქვთ ფინანსური ცოდნისა და ქცევების კუთხით, ვიდრე დანარჩენ მოსახლეობას.

რაც შეეხება უშუალოდ მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევას, 2021 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით<sup>19</sup>, საქართველოს მაჩვენებელი კვლევაში მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. კვლევა აჩვენებს, რომ მეწარმეებს უმრავლესობას სწორად ესმით ფინანსური საკითხების არსი, თუმცა, მხოლოდ ნახევარს აქვს გამიჯნული ბიზნესის ანგარიშები და ფინანსები პირადი ანგარიშებისა და ფინანსებისგან. მეწარმეების უმრავლესობა ისახავს გრძელვადიან ფინანსურ გეგმებს თავისი კომპანიისთვის, თუმცა, უმრავლესობა აღნიშნავს, რომ კომპანიის მართვისას ურჩევნია მიჰყევს საკუთარ ინტუიციას, ვიდრე შეიმუშაოს დეტალური ფინანსური გეგმები. ქართველ მეწარმეებს აქვთ სხვადასხვა ფინანსური პროდუქტის შესახებ ინფორმაცია, თუმცა, დაფინანსების წყაროებიდან ძირითადად გამოიყენებენ საბანკო სესხებს.

<sup>18</sup> [საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარების სტრატეგია 2021-2025](#)

<sup>19</sup> [მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევა, OECD/INFE 2021](#)

ზემოაღნიშნული კვლევის თანახმად, ბიზნესის მფლობელების ფინანსური განათლება დაკავშირებულია ბიზნესის უკეთეს შედეგებთან, ასევე, სესხებზე ხელმისაწვდომობასთან. ფინანსური განათლების აქტივობებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელების ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ქცევების გაუმჯობესებას, რაც მათ დაეხმარებათ მიიღონ სწორი ფინანსური გადაწყვეტილებები მათი ბიზნესისთვის, მათ შორის ბიზნესის ფინანსების დაგეგმვის, ფინანსური პროდუქტების შერჩევის, დაფინანსების წყაროს მიებისა თუ ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის მიმართულებით.

როგორც მთლიანი მოსახლეობის, ისე ცალკეული სამიზნე ჯგუფებისათვის გათვლილი ფინანსური განათლების აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას, მნიშვნელოვანია მიწოდების მრავალფეროვანი არხებისა და მეთოდების განხილვა, რომელიც მორგებული იქნება კონკრეტული სეგმენტის საჭიროებებზე. ეს შეიძლება იყოს ტრენინგები, კონსულტაციები ადგილობრივ საზოგადოებრივ ცენტრებში, სწავლება სამუშაო ადგილზე, ტელე და რადიო გადაცემები, ბეჭდური მედია, ბროშურები, ვიდეოები, სპეციალური ვებგვერდები და სოციალური ქსელები, აპლიკაციები და თამაშები, ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები, კონკურსები და ა.შ. ფინანსური განათლების მიწოდება ასევე ეფექტური ცხოვრებისულ მომენტებში, როდესაც ინდივიდები დგანან მნიშვნელოვანი ფინანსური გადაწყვეტილებების წინაშე ან/და გადადიან ცხოვრების ახალ ეტაპზე, მაგალითად, მიდიან საზღვარგარეთ სასწავლებლად, იწყებენ პირველ სამსახურს, ქმნიან ოჯახს, ელოდებიან ბავშვს, აკეთებენ მნიშვნელოვან შენაძენს, გადიან პენსიაზე და ა.შ.

**პრიორიტეტული მიმართულების - 2. მოსახლეობის გონივრული ფინანსური ქცევების წახალისება და დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა - ფარგლებში, სტრატეგიის მისაღწევი ამოცანებია:**

- ზრდასრული მოსახლეობის ფინანსური განათლების ხელშეწყობა;
- სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ფინანსური განათლების ხელშეწყობა;
- ქალების ფინანსური განათლების ხელშეწყობა;
- მოწყვლადი ჯგუფების (ემიგრანტები, ასაკოვანი მოსახლეობა) ფინანსური განათლების ხელშეწყობა;
- მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების ხელშეწყობა.

მოცემული პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში სასურველი შედეგებია: მოსახლეობის დიდ ნაწილს შეუძლია:

- მართოს ყოველდღიური ფინანსები, მათ შორის, დანაზოგები და ვალდებულებები;
- მიიღოს ინფორმირებული ფინანსური გადაწყვეტილებები, მათ შორის, ფინანსური პროდუქტების შერჩევასთან, სესხებასთან, ინვესტირებასა და ფინანსურ რისკებთან დაკავშირებით, გააცნობიეროს თავისი, როგორც ფინანსური სექტორის წარმომადგენლის მომხმარებლის უფლებები და ვალდებულებები, მოიძიოს მიუკერძოებელი, საჭირო ფინანსური ინფორმაცია;
- დაგეგმოს გრძელვადიანი მომავლისთვის, რაც გულისხმობს ცხოვრებისეული მომენტებისთვის ფინანსურ მზაობას, გრძელვადიანი საჭიროებებისთვის დაზოგვასა და საპენსიო ასაკისთვის მომზადებას.

### **პრიორიტეტული მიმართულება #3: საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, მიუკერძოებელი ფინანსური ინფორმაციის, რესურსებისა და არხების გამოყენების ზრდა**

ფინანსური განათლების გავრცელებისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური განათლების საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, მიუკერძოებელი მასალებისა და რესურსების განვითარება, მიწოდების განსხვავებული და მრავალფეროვანი არხების გამოყენება. ფინანსური განათლების მასალების განვითარება შესაძლებელია როგორც ეროვნული ბანკის, ისე სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ. შესაბამისი საგანმანათლებლო მასალების სანდოობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, ისინი თანხვედრაში იყოს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ამოცანებთან, ფინანსური განათლების პროგრამების, აქტივობებისა და რესურსების ეროვნულ სტრატეგიასთან შესაბამისობის პრინციპებთან<sup>20</sup> და ფინანსური წიგნიერების კომპეტენციების ჩარჩოსთან<sup>21</sup>.

დანახარჯების შემცირებისა და ფინანსური განათლების მასალების გამოყენების ეფექტური მიზნით, მნიშვნელოვანია დუბლირებების (ერთი და იმავე სამიზნე ჯგუფებისთვის იდენტური შინაარსისა და ფორმის მასალების შექმნა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ, ან სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ძალისხმევის დახარჯვა ერთსა და იმავე სამიზნე ჯგუფზე) მაქსიმალურად გამორიცხვა, რათა შეძლებისდაგვარად მეტი სამიზნე ჯგუფის/ბენეფიციარის დაფარვის მიზნით რესურსები მაქსიმალურად ოპტიმალურად გადანაწილდეს. ამისთვის საჭიროა ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მიერ შექმნილი მასალების თავისუფლად გამოყენება და უფასოდ გავრცელება შესაძლებელი იყოს სხვა დაინტერესებული მხარის მიერ, მასალების ავტორი/ინიციატორი მხარეების მითითებით. ეს ყოველივე შესაძლებელია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ შექმნილი ფინანსური განათლების მასალების ერთიან სივრცეში თავმოყრით, ფართო მასებისთვის მათი საყოველთაოდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

ეროვნული ბანკის მიერ შექმნილი ფინანსური განათლების ვებ-პორტალი - „ფინედუ“ განიხილება, როგორც ერთ-ერთი ერთიანი საგანმანათლებლო პლატფორმა, სადაც თავს იყრის როგორც ეროვნული ბანკის, ისე ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მიერ მომზადებული მასალები და რესურსები, რომელიც არის უფასო, საჯარო, ადვილად გასაგები და ყველასათვის ხელმისაწვდომი.

ამასთან, „ფინედუ“ შესაძლებელია განხილული იყოს, როგორც ფინანსური განათლების მიწოდების დისტანციური გზა ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მიერ, ხოლო, როგორც ფინანსური განათლების მიღების ერთ-ერთი შესაძლებლობა - მოსახლეობისთვის.

„ფინედუ“, როგორც ვებ-გვერდი, ასევე, მისი გვერდები სოციალურ ქსელებში, მოიაზრება ფინანსური განათლების პოპულარიზაციის, საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და მათი ცნობიერების ამაღლების ერთ-ერთ წყაროდ.

<sup>20</sup> იხ. სტრატეგია, გვ. 24 - ფინანსური განათლების პროგრამების, აქტივობებისა და რესურსების ეროვნულ სტრატეგიასთან შესაბამისობის პრინციპები

<sup>21</sup> ფინანსური წიგნიერების ძირითადი კომპეტენციების ჩარჩო

ამასთან, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ განხორციელებული ფინანსური განათლების აქტივობები უნდა ითვალისწინებდეს მოსახლეობისთვის იმის სწავლებას, თუ სად შეიძლება მოიძიონ მიუკერძოებელი, სანდო ფინანსური ინფორმაცია, მასალები თუ რჩევა.

პრიორიტეტული მიმართულების - საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, მიუკერძოებელი ფინანსური ინფორმაციის, რესურსებისა და არხების გამოყენების ზრდა - ფარგლებში სტრატეგიის მისაღწევი ამოცანებია:

- ფინანსური განათლების მასალების განვითარების ხელშეწყობა;
- ფინანსური განათლების დისტანციურად გავრცელების ხელშეწყობა.

### სასურველი შედეგები:

- ფინანსური განათლების მასალები არის ადვილად გასაგები და ხელმისაწვდომი ყველასთვის და მოსახლეობა აქტიურად იყენებს მათ;
- დაინტერესებული მხარეები აქტიურად არიან ჩართული ფინანსური განათლების მასალების განვითარებასა და გავრცელებაში და მათ მიერ შექმნილი მასალა ხელმისაწვდომი და გამოყენებადია;
- „ფინედუ“ აღიქმება მომხმარებლების მიერ როგორც საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სანდო და მიუკერძოებელი ინფორმაციისა და რესურსების წყარო.

### პრიორიტეტული მიმართულება #4: დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის მექანიზმების შექმნა და განვითარება

ფინანსური განათლების ფართოდ გავრცელებისთვის, სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტია, შექმნას თანამშრომლობის მოქნილი და პრაქტიკული მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს წებისმიერ დაინტერესებულ მხარეს ჩაერთოს ფინანსური განათლების აქტივობების განხორციელებაში. დაინტერესებული მხარეების კოორდინაციასა და ურთიერთთანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური განათლების აქტივობების ეფექტიანად განხორციელებისა და სინერგიის მიღწევისათვის. ამასთან, მნიშვნელოვანია კოორდინირებული, საერთო გზავნილებით საზოგადოებასთან კომუნიკაცია, რათა თავიდან იქნას აცილებული ურთიერთგამომრიცხავი და დამაბნეველი ინფორმაციის მიწოდება.

დაინტერესებული მხარის მიერ ინიცირებული დამოუკიდებელი ან/და ერთობლივად განსახორციელებელი ფინანსური განათლების აქტივობა უნდა პასუხობდეს სტრატეგიის მისიასა და ამოცანებს და გაიწეროს სტრატეგიის სამოქმედო ყოველწლიურ გეგმაში. დაინტერესებულმა მხარეებმა ფინანსური განათლების აქტივობების შემუშავებისას უნდა გაითვალისწინონ სტრატეგიაში მოცემული ფინანსური განათლების პროგრამების, აქტივობებისა და რესურსების ეროვნულ სტრატეგიასთან შესაბამისობის პრინციპები და ფინანსური განათლების საკითხები.

ფინანსური განათლების აქტივობების ეფექტიანად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია მათი მონიტორინგი და შეფასება. ამისთვის, ფინანსური განათლების აქტივობის შემქმნელ/განმახორციელებელ მხარეს გაწერილი უნდა ჰქონდეს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომელიც გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი

იქნება დაინტერესებული მხარეებისთვის და რომლითაც გაიზომება, რამდენად მიაღწია აქტივობამ წინასწარ დასახულ მიზანს.

სტრატეგიის ეფექტიანად დანერგვის ხელშეწყობის, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, სტრატეგია ითვალისწინებს სტრატეგიის მართვის კომიტეტის ფუნქციონირებას, რომლის წევრებიც იქნებიან ის დაინტერესებული მხარეები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სტრატეგიის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და შესრულებაში, როგორც ადამიანური, ისე ფინანსური თუ სხვა საჭირო რესურსით. აღნიშნულში მოიაზრება როგორც დამოუკიდებლად ინიცირებული ან/და დასანერგი, ისე, ერთობლივი აქტივობები.

დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად, დამატებით, შესაძლებელია შემუშავდეს ფინანსური განათლების პროგრამების განხორციელების სახელმძღვანელო/წესები.

დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გამლიერების ერთ-ერთი მიმართულება შეიძლება იყოს ფინანსური სექტორის მიერ საკუთარი თანამშრომლების ფინანსური განათლების ამაღლების გზით ფინანსური განათლების გავრცელების ხელშეწყობა. ფინანსური სექტორის წარმომადგენლებს ფინანსური განათლების აქტივობები თავიანთი მომხმარებლებისთვისაც შეუძლიათ განახორციელონ, მაგალითად, ფინანსური პროდუქტისა თუ მომსახურების ყიდვისას ამ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მომხმარებლისთვის მიწოდებით: ძირითადი პირობები, სარგებლობის წესები, უსაფრთხოდ გამოყენების პირობები და ა.შ., რაც ადვილად აღსაქმელი და მომხმარებელზე მორგებული იქნება.

პრიორიტეტული მიმართულების - **დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის მექანიზმების შექმნა და განვითარება - ფარგლებში სტრატეგიის მისაღწევი ამოცანებია:**

- დაინტერესებულ მხარეებში ფინანსური განათლების სარგებლიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციის ხელშეწყობა;
- ფინანსური განათლების აქტივობების ეფექტიანად დანერგვის ხელშეწყობა;
- ფინანსური სექტორის მიერ ფინანსური განათლების აქტივობების დანერგვის ხელშეწყობა.

**სასურველი შედეგი:** დაინტერესებული მხარეები იაზრებენ ფინანსური განათლების საჭიროებას და ერთვებიან სტრატეგიის სამოქმედო გეგმების განხორციელებაში, რის შედეგადაც ფინანსური განათლების აქტივობები ფართო მასშტაბით ინერგება.

## ფინანსური განათლების საკითხები

ფინანსური განათლების ცნების შესახებ წარმოდგენის შექმნის მიზნით, სტრატეგია განსაზღვრავს ფინანსური განათლების ძირითადი საკითხების ჩამონათვალს:

**1. მომხმარებლების რისკების შემცირება - ფინანსურ სექტორთან პასუხისმგებლიანი ურთიერთობა:**

- მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები;
- გონივრული სესხება და სესხის მართვა;
- ფინანსური პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მომიება და პირობების ერთმანეთთან შედარება;
- ფინანსური ორგანიზაციები და პროდუქტები;
- ფინანსური უსაფრთხოება, ფინანსური რისკები, ფინანსური თაღლითობისგან თავდაცვის საშუალებები.

**2. ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერება - პირადი და ოჯახის ფინანსების მართვა**

- პირადი და ოჯახის ბიუჯეტის დაგეგმვა და მართვა;
- ფული და გადახდები;
- დანაზოგი და ინვესტიციები;
- დაზღვევის საკითხები;
- საპენსიო ასაკისთვის მზადება.

**3. ზოგადი ეკონომიკური საკითხების ცოდნა - ეკონომიკური საკითხების პირადი ფინანსების მართვისას გათვალისწინება:**

- ფინანსური გადაწყვეტილების მიღებისას გარემოსდაცვითი და სოციალური ეფექტის გათვალისწინება;
- სავალუტო რისკი;
- ინფლაცია;
- გადასახადები.

**4. მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების შესაძლებლობების გაძლიერება:**

- მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეთა ურთიერთობა ფინანსურ ორგანიზაციებთან;
- მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება.

ფინანსური განათლების აქტივობების შინაარსის შემუშავებისას, დაინტერესებულმა მხარეებმა სასურველია გაითვალისწინონ როგორც მოცემული ძირითადი საკითხები, ასევე, ფინანსური წიგნიერების ძირითადი კომპეტენციების ჩარჩო<sup>22</sup>, რომელიც წარმოადგენს იმ ძირითადი კომპეტენციების ჩამონათვალს, რაც სასურველია ფინანსურად განათლებულ ადამიანს გააჩნდეს და რომელიც ფინანსური განათლების საკითხებს განიხილავს ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ქცევების ჭრილში.

**ფინანსური განათლების პროგრამების, აქტივობებისა და რესურსების ეროვნულ სტრატეგიასთან შესაბამისობის პრინციპები**

ფინანსური განათლების აქტივობების შემუშავებისას, გარდა ზემოთ ხსენებული შინაარსობრივი საკითხებისა, დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი პრინციპები:

**1. პროგრამა შინაარსობრივად უნდა ეხმიანებოდეს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრულ საკვანძო საკითხებს**

<sup>22</sup> ფინანსური წიგნიერების ძირითადი კომპეტენციების ჩარჩო

ფინანსური განათლების პროგრამა ზოგადად უნდა შეესაბამებოდეს ფინანსური განათლების ეროვნულ სტრატეგიას და ითვალისწინებდეს იმ პრიორიტეტულ მიმართულებებს, ამოცანებსა და შედეგებს, ასევე ფინანსური განათლების საკითხებს, რომლებიც განსაზღვრულია სტრატეგიით, ასევე, სხვა შესაბამისი ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტებით.

## **2. პროგრამა უნდა იყოს გასაგებად გადმოცემული და ადვილად გამოყენებადი**

ფინანსური განათლების პროგრამები შედგენილი უნდა იყოს წარმოდგენილი სამიზნე ჯგუფის წევრებისთვის მარტივი და გასაგები ენითა და ფორმით. კომპლექსური ფინანსური საკითხები მაქსიმალურად ადვილად უნდა იყოს გადმოცემული, ხოლო, პროგრამის სტუქტურა ხელს უნდა უწყობდეს ინფორმაციის მარტივად/გასაგებად გადაცემას. პროგრამა უნდა იყენებდეს კომუნიკაციის ეფექტურ და სამიზნე ჯგუფებზე მორგებულ ფორმებს.

## **3. პროგრამა მორგებული უნდა იყოს მიზნობრივი სეგმენტის საჭიროებებზე**

ფინანსური განათლების პროგრამა, მისი შინაარსი და მიწოდების არხი უნდა ითვალისწინებდეს იმ ჯგუფის და/ან ჯგუფის წევრების საჭიროებებს, თავისებურებებს, ცხოვრებისეულ სიტუაციებს, გამოწვევებს, ინტერესებსა და მიზნებს, რომლისთვისაც ის არის განკუთვნილი.

## **4. პროგრამას უნდა ჰქონდეს პოზიტიური ცვლილებების მიღწევის კონკრეტული ხედვა და შეფასების გეგმა<sup>23</sup>**

ფინანსური განათლების პროგრამის ავტორებს გააზრებული უნდა ჰქონდეთ პროგრამის ლოგიკური მოდელი, კერძოდ კი, ის რესურსები და აქტივობები, რითიც აპირებენ პროგრამის განხორციელებას და ის შედეგები და გრძელვადიანი მიზნები, რისი მიღწევაც უნდა მოხდეს ამ პროგრამით. მათ უნდა იცოდნენ, თუ როგორ აპირებენ პროგრამის შედეგების შეფასებას. პროგრამა, საბოლოო ჯამში, ორიენტირებული უნდა იყოს გრძელვადიან ცვლილებებზე.

## **5. პროგრამა ადამიანებს უნდა ეხმარებოდეს ფინანსური მიზნების მიღწევაში**

ფინანსური განათლების პროგრამა ბენეფიციარებს უნდა ეხმარებოდეს ფინანსური მიზნების მიღწევაში, რაც ფინანსური კეთილდღეობისა და უსაფრთხოების ერთ-ერთი წინაპირობაა. პროგრამა უნდა ქმნიდეს მოტივაციასა და შესაძლებლობას, ბენეფიციარებმა პრაქტიკაში გამოიყენონ და ქცევებში ასახონ მიღებული ცოდნა.

## **6. პროგრამა უნდა იყენებდეს ინფორმაციის გაცვლის მრავალფეროვან არხებსა და ფორმებს**

ფინანსური განათლების პროგრამა უნდა იყოს პროაქტიულად შეთავაზებული და ფართოდ ხელმისაწვდომი სამიზნე ჯგუფისთვის. პროგრამა უნდა მოიცავდეს ისეთ აქტივობებს, რომლებიც იყენებს სწავლების სხვადასხვა სტილსა და ფორმას.

## **7. პროგრამა უნდა იყოს მარკეტინგული მიზნებისგან თავისუფალი**

ფინანსური განათლების პროგრამა უნდა შეიცავდეს უტყუარ, მიუკერძოებელ, თავისდროულ და შეძლებისდაგვარად ამომწურავ ინფორმაციას. მის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ბენეფიციარების ფინანსური განათლების ამაღლება და არა რაიმე

<sup>23</sup> ფინანსური განათლების პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო

პროდუქტის და/ან მომსახურების რეკლამირება. ბრენდირება მაქსიმალურად შეზღუდულად უნდა იქნას გამოყენებული, თუმცა, ბრენდის მითითება შესაძლებელია, როგორც პროგრამის ავტორის, ან სპონსორის სახით.

## სტრატეგიის დანერგვის მონიტორინგი და შედეგების შეფასება

სტრატეგიის დანერგვის მონიტორინგსა და მისი შედეგების შეფასებას განახორციელებს ეროვნული ბანკი. სტრატეგიის დანერგვის მიმდინარეობის მონიტორინგი მოხდება ყოველწლიური სამოქმედო გეგმების განხილვითა და შეფასებით. სტრატეგიის შეფასება შესაძლებელია როგორც მთლიანი მოსახლეობის, ისე, ცალკეული სამიზნე ჯგუფების დონეზე ჩატარებული ფინანსური განათლების დონის კვლევების მეშვეობით. სტრატეგიის შეფასებისას, ასევე, მნიშვნელოვანია ფინანსური განათლების ცალკეული აქტივობების შეფასებაც<sup>24</sup>, რომლის უშუალოდ აქტივობების განმახორციელებელმა დაინტერესებულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს.

საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების კვლევა „OECD/INFE-ის“ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ჩატარდა 2016 და 2019 წლებში. მიზანშეწონოლია მსგავსი კვლევის ჩატარება 5 - 7 წელიწადში ერთხელ. ეროვნული ბანკი, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, მომავალშიც უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის ფინანსური განათლების დონის კვლევის განხორციელებას.

რაც შეეხება ფინანსური განათლების ცალკეული აქტივობების შეფასებას, ეს შესაძლებელია მოხდეს ე.წ. „პრე“ და „პოსტ“ კითხვარებით, რომლებიც აქცენტს გააკეთებს ბენეფიციართა ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ქცევის შეფასებაზე, მათ შორის, შესაძლებელია საკონტროლო ჯგუფების გამოყენებაც, რომლის შედეგებიც შედარდება ფინანსური განათლების მიმღები ჯგუფის შედეგებთან. ასევე, შეფასებისთვის შესაძლოა გამოყენებული იქნას ბენეფიციარებისა და აქტივობის უშუალო განმახორციელებლების აზრის გამოკითხვა და მიღებული უკუკავშირის გაანალიზება და სხვ. ისეთი აქტივობები, როგორიცაა, მაგალითად, ვებ-გვერდებითა და სოციალური ქსელებით ფინანსური განათლების გავრცელება, შეიძლება შეფასდეს სტატისტიკური ინფორმაციით, მაგალითად, ვიზიტორების, გამომწერების რაოდენობა, ვიდეოს ნახვების რაოდენობა, პოსტებზე წვდომა და ჩართულობა და ა.შ.

ეფექტური მონიტორინგისა და შეფასების მიზნით თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრული უნდა იყოს შესაბამისი სამიზნე ჯგუფი. აქტივობას უნდა გააჩნდეს ნათელი, გაზომვადი და დროში გაწერილი მიზნები, ასევე, მოკლე და გრძელვადიან პერიოდში მისაღწევი შედეგები. ეს შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კრიტერიუმები. სათანადო შესაძლებელობის გათვალისწინებით, განსაზღვრული უნდა იყოს აქტივობის გასახორციელებლად საჭირო ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსები.

შეფასებისა და გაზომვისთვის შემუშავებული მექანიზმების მიხედვით შეფასდება, თუ რამდენად მიაღწია აღნიშნულმა აქტივობამ დასახულ მიზნებს.

<sup>24</sup> [ფინანსური განათლების პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო](#)

## სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მოდელი

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მოდელი აგებულია სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებებისა და ამოცანების მიხედვით. სტრატეგიის მისი შესრულება და განხორციელება მოხდება ყოველწლიური დეტალური სამოქმედო გეგმების საშუალებით, რომელიც დაფუძნებული იქნება მოცემულ მოდელზე და რომელიც განსაზღვრავს და აღწერს სტრატეგიის დანერგვისთვის განსახორციელებელ ფინანსური განათლების აქტივობებსა და მათ განსახორციელებლად საჭირო რესურსებსა და ვადებს, ასევე, სტრატეგიის დანერგვაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს. სამოქმედო გეგმა იქნება ცოცხალი დოკუმენტი, რომელიც განახლდება საჭიროებისამებრ.

პრიორიტეტული მიმართულება #1: ახალგაზრდა თაობისთვის ფინანსური განათლების მიწოდება და მათი მომავალი ცხოვრებისთვის მომზადება

ამოცანა 1: სკოლებში ფინანსური განათლების დანერგვის ხელშეწყობა						
შესასრულებელი ქმედება (ან აქტივობა)	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანიზაცია	პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი (თანხა)
აქტივობა 1.1.						
...	...	...	...	...	...	...
ამოცანა 2: უმაღლესსა და პროფესიული სასწავლებლებში ფინანსური განათლების დანერგვის ხელშეწყობა						
შესასრულებელი ქმედება (ან აქტივობა)	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანიზაცია	პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი (თანხა)
აქტივობა 2.1.						
...	...	...	...	...	...	...

პრიორიტეტული მიმართულება #2: მოსახლეობის გონივრული ფინანსური ქცევების წახალისება და დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა

ამოცანა 1: ზრდასრული მოსახლეობის ფინანსური განათლების ხელშეწყობა						
შესასრულებელი ქმედება (ან აქტივობა)	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანიზაცია	პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი (თანხა)
აქტივობა 1.1.						
...	...	...	...	...	...	...
ამოცანა 2: სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ფინანსური განათლების ხელშეწყობა						
შესასრულებელი ქმედება (ან აქტივობა)	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანიზაცია	პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი (თანხა)
აქტივობა 2.1.						
...	...	...	...	...	...	...
ამოცანა 3: ქალების ფინანსური განათლების ხელშეწყობა						

აქტივობა 3.1						
...	...	...	...	...	...	....
<b>ამოცანა 4: მოწყვლადი ჯგუფების (ემიგრანტები, ასაკოვანი მოსახლეობა) ფინანსური განათლების ხელშეწყობა</b>						
შესასრულებელი ქმედება (ან აქტივობა)	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანიზაცია	პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი (თანხა)
აქტივობა 4.1.						
...	...	...	...	...	...	...
<b>ამოცანა 5: მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების ხელშეწყობა</b>						
შესასრულებელი ქმედება (ან აქტივობა)	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანიზაცია	პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი (თანხა)
აქტივობა 5.1.						
...	...	...	...	...	...	...

პრიორიტეტული მიმართულება #3: საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, მიუკერძოებელი ფინანსური ინფორმაციის, რესურსებისა და არხების გამოყენების ზრდა

ამოცანა 1: ფინანსური განათლების მასალების განვითარების ხელშეწყობა						
შესასრულებელი ქმედება (ან აქტივობა)	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანიზაცია	პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი (თანხა)
აქტივობა 1.1.						
...	...	...	...	...	...	...
<b>ამოცანა 2: ფინანსური განათლების დისტანციურად გავრცელების ხელშეწყობა</b>						
შესასრულებელი ქმედება (ან აქტივობა)	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანიზაცია	პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი (თანხა)
აქტივობა 2.1.						
...	...	...	...	...	...	...

პრიორიტეტული მიმართულება #4: დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის მექანიზმების შექმნა და განვითარება

ამოცანა 1: დაინტერესებულ მხარეებში ფინანსური განათლების სარგებლიანობის შესახებ ცონბიერების ამაღლება						
შესასრულებელი ქმედება (ან აქტივობა)	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანიზაცია	პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი (თანხა)
აქტივობა 1.1.						
...	...	...	...	...	...	...
<b>ამოცანა 2: დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციის ხელშეწყობა</b>						

შესასრულებელი ქმედება (ან აქტივობა)	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანიზაცია	პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი (თანხა)
<b>აქტივობა 2.1.</b>						
...	...	...	...	...	...	...
<b>ამოცანა 3: ფინანსური განათლების აქტივობების ეფექტურიანად დანერგვის ხელშეწყობა</b>						
შესასრულებელი ქმედება (ან აქტივობა)	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანიზაცია	პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი (თანხა)
<b>აქტივობა 3.1.</b>						
...	...	...	...	...	...	...
<b>ამოცანა 4: ფინანსური სექტორის მიერ ფინანსური განათლების აქტივობების დანერგვის ხელშეწყობა.</b>						
შესასრულებელი ქმედება (ან აქტივობა)	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანიზაცია	პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	დაფინანსების წყარო	ბიუჯეტი (თანხა)
<b>აქტივობა 4.1.</b>						
...	...	...	...	...	...	...

## გამოყენებული წყაროები

- [საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025](#)
- [საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ](#)
- [ფინანსური განათლების პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო](#)
- [ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი](#)
- [ფინანსური წიგნიერების ძირითადი კომპეტენციების ჩარჩო](#)
- [OECD/INFE 2021 მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევა](#)
- [OECD/INFE 2022 Boosting Financial Literacy of Rural Populations in South East Europe](#)
- [OECD PISA 2018 Financial Literacy Assessment of Students](#)
- [OECD/INFE 2020 Financial Literacy of Adults in South East Europe](#)
- [OECD/INFE 2012 High-level Principles on National Strategies for Financial Education](#)
- [OECD/INFE 2020 International Survey of Adult Financial Literacy](#)
- [OECD/INFE 2013 Policy Guidance on Addressing Womans' and Girls' Needs for Financial Awareness and Education](#)
- [OECD/INFE 2015 Policy Handbook: National Strategies for Financial Education](#)
- [OECD/INFE 2022 Policy handbook on financial education in the workplace](#)
- [OECD Council Recommendation on Financial Literacy 2020](#)
- [OECD/INFE 2019 Smarter Financial Education - Key Lessons from Behavioural Insights for Financial Literacy Initiatives](#)
- [OECD/INFE 2021 Youth Financial Education in South East Europe](#)